პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 17 ოქტომბერი, 1944 წ. № 210 (7163). ფასი 20 კაპ.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ მერეცკოვს
ადმირალ გოლოვკოს

კარელიის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა მურმანსკის ჩრდილო-დასავლეთით და დღეს, 15 ოქტომბერს, ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებისა და სადესანტო ნაწილების დახმარებით დაიკავეს ქალაქი პეტსამო (პეჩენგა)—დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი შორეულ ჩრდილოეთში.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და პეტსამოს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შჩერბაკოვის, გენერალ-მაიორ მიკულსკის, პოლკოვნიკ სოლოვიოვის, გენერალ-მაიორ აკოვის, გენერალ-მაიორ ალექსეევის, გენერალ-მაიორ დუბოვცევის, სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორ კუსტოვის, პოლკოვნიკ კალინოვსკის, გენერალ-მაიორ ხუდალოვის, გენერალ-მაიორ კოროტკოვის, გენერალ-მაიორ პანინის, პოლკოვნიკ კოშჩიენკოს, გენერალ-მაიორ სოპენკოს, პოლკოვნიკ კავერინის, პოლკოვნიკ ლისენკოს, პოდპოლკოვნიკ ბლაკის, პოლკოვნიკ ამვროსოვის, პოლკოვნიკ როსიჩენკოს, პოლკოვნიკ კრილოვის, პოლკოვნიკ რასოხინის, მაიორ ტიმოფეევის, კაპიტან ბარჩენკოს ჯარებმა; კონტრ-ადმირალ მიხაილოვის, კონტრ-ადმირალ ფოკინის, 1-ლი რანგის კაპიტან კლევენსკის, 1-ლი რანგის კაპიტან კუზმინის, 1-ლი რანგის კაპიტან კოლიშკინის, მე-2 რანგის კაპიტან ალექსეევის, მე-3 რანგის კაპიტან ზიუზინის, მე-3 რანგის კაპიტან ფედოროვის, მე-2 რანგის კაპიტან კორშუნოვიჩის მეზღვაურებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დეგტიარევის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ვოევოდინის, არტილერიის გენერალ-მაიორ პანიტკინის, პოლკოვნიკ ხრამოვის, პოლკოვნიკ ნებოჟენკოს, პოდპოლკოვნიკ გრიგორიევის, პოლკოვნიკ სობოლევის, პოდპოლკოვნიკ სტროკერის არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სოკოლოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ პრეობრაჟენსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ კიდალინსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ პეტრუხინის, პოლკოვნიკ შატკოვის, პოლკოვნიკ მინაევის, პოლკოვნიკ პუშკარევის, პოლკოვნიკ ლარიუშკინის, პოლკოვნიკ კალუგინის, პოლკოვნიკ დონინის, პოლკოვნიკ პოგრეშაევის, პოლკოვნიკ ფინოგენოვის მფრინავებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კონონოვის, პოლკოვნიკ სოკოლოვის, პოლკოვნიკ იურენკოვის, პოდპოლკოვნიკ არსენევსკის, პოდპოლკოვნიკ ტერენტიევის, პოდპოლკოვნიკ სუჩკოვის, პოდპოლკოვნიკ ტორჩილინის ტანკისტებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ხრენოვის, პოლკოვნიკ ლეიჩიკის, პოდპოლკოვნიკ რუზბას, პოდპოლკოვნიკ ზახაროვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ დობიკინის, პოლკოვნიკ ეკიმოვის, მე-2 რანგის კაპიტან პოლოზოკის, სახელმწიფოებრივი უშიშროების მაიორ ავრილოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად საჯარისო შენაერთები, ფლოტის ხომალდები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი პეტსამოსათვის (პეჩენგისათვის) ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „პეჩენგის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 15 ოქტომბერს, 21 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს კარელიის ფრონტის მამაც ჯარებს, ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც დაიკავეს პეტსამო.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პეტსამოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 15 ოქტომბერი.

აბაშა

რაიონულ გაზეთ „საბჭოთა სოფლის" რედაქტორს ამხ. ჩაგანავას
აბაშის რადიოგადაცემის რედაქციის რედაქტორს ამხ. ბუხაიძეს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა გაზეთ „საბჭოთა სოფლის" რედაქციისა და რადიოგადაცემის რედაქციის მუშაკებს, აბაშის რაიონის ძირეული პრესის მუშაკებს, კორესპონდენტებსა და მკითხველებს, რომლებმაც სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის" ასაგებად შეაგროვეს 70.000 მანეთი ფულად და 115.000 მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები.

ი. სტალინი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ძალიან მეძნელება ვიპოვნო სიტყვები, რომ გამოვთქვა მადლობა, რომლითაც აღსავსეა ჩემი გული. მე საბჭოთა ხელისუფლებას უნდა ვუმადლოდე, უნდა გიმადლოდეთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ჩემს ცხოვრებაში იყო: შესაძლებლობას ყოველნაირად ვემსახურო ხალხს ჩემი ცოდნითა და ძალებით, მონაწილეობას მსოფლიო ისტორიის ყველაზე კეთილშობილურ საქმეში. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მე ვისწრაფოდი მეცნიერებისა და ცხოვრების სიმართლისაკენ და ბედნიერი ვარ, რომ მოხუცებულობის წლებში შევძელ დამენახა, თუ როგორ ათავისუფლებს სტალინის გენია ჩვენს მიწა-წყალს ყოველგვარი სიცრუისა, უსამართლობისა და ძალადობისაგან.

მაშ მიიღეთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ერთგულების, სიყვარულის, აღტაცებისა და მადლობის უაღრესად წრფელი გრძნობები.

თქვენი ვლადიმერ კომაროვი.

მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია

საბჭოთა კავშირთან, დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დროებით ზავზე შეთანხმების დადებისათვის მოლაპარაკების საწარმოებლად მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პეტკო სტაინოვი, დელეგაციის თავმჯდომარე; უპორტფელო მინისტრი ბ-ნი დობრი ტერპეშევი, უპორტფელო მინისტრი ბ-ნი ნიკოლა პეტკოვი, ფინანსთა მინისტრი პეტკო სტოიანოვი. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ: პროფესორი დიმიტრი მიხალჩევი, გენერალ-პოლკოვნიკი გეორგი პოპოვი, პოლკოვნიკი ივანე ანტონოვი, ანა კამენოვა და მდივნები.

მოსკოვის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სხვა წარმომადგენლები, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატისაგან საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი მ. პ. კუტუზოვი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

კარელიის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა მურმანსკის ჩრდილო-დასავლეთით და 15 ოქტომბერს ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებისა და სადესანტო ნაწილების დახმარებით დაიკავეს დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა და მოწინააღმდეგის თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი შორეულ ჩრდილოეთში ქალაქი პეტსამო (პეჩენგა), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბოლშაია ლიცა, ბოლშაია ზაპადნაია ლიცა, ტიტოვკა ოსტროვი, ტიტოვკა, რეკა, პოროვარა, ლინახამარი, ტრიფონა, პარკინა, ნიასიუკა, კაკური, ლუოსტარი, კოლტაკიულია, პეიატსაძსიადი, პილგუიარვენი.

ქალაქ რიგის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბული, ბულიუციემსი, პრიედაინე, სულტინი, ზოლიტუდე, სკულტე და რკინიგზის სადგურები ბაბიტე, პრიედაინე.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი დეჟი, ქალაქი და რკინიგზის სადგური ნესეუდი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ხორდო, სალვა, ზაგრა, იშპან-მეზე, ფელერი, რეტეგი, კუზდრიოარა, ოკნა-დეჟულუი, ორმანი, ბიროლდი, ბირლია, ვულცურენი, ბერინდუ, უზრუცუ, ზიმბორულ-მარე, პეტრინდუ და რკინიგზის სადგურები კიშ-რებრა, სალვა, ნიმიჯია, რეტეგი, ოკნა-დეჟულუი.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები პოჟარევაცი და კრუშევაცი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

14 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 143 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 61 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის თავდასხმები ტილზიტზე (გერმანია) კლაიპედის (მემელის) ნავსადგურსა და ლეპაიის (ლიბავის) ნავსადგურზე

14 ოქტომბერს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია თავს დაესხა გერმანიის ქალაქ ტილზიტს და დაბომბა მოწინააღმდეგის ტრანსპორტები და სამხედრო საწყობები კლაიპედის (მემელის) ნავსადგურსა და ლეპაიის (ლიბავის) ნავსადგურში.

დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძ ტილზიტში გაჩნდა ხანძრები, რომელთა შორისაც ორი ძლიერი აფეთქება მოხდა. ხანძრები აღნიშნულია აგრეთვე მოწინააღმდეგის ავტოტრანსპორტში, რომელიც თავმოყრილი იყო ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში და მდინარე ნემანის გადასასვლელთან.

კლაიპედაში (მემელში) დაბომბვის დროს 30-ზე მეტი ხანძარი გაჩნდა. თავდასხმის დასასრულს ცეცხლში იყო გახვეული ნავსადგური და ქალაქის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სამხედრო ობიექტები. გემსაშენის რაიონში და ქალაქის სამხრეთ გარეუბანში რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა.

ლეპაიაზე (ლიბავაზე) ჩვენი ავიაციის თავდასხმის დროს ნავსადგურში გერმანელების 25-მდე სატრანსპორტო გემი იყო. დაბომბვის შედეგად ათობით ხანძარი გაჩნდა. ახალი ნავსადგურის ნავმისაბმელებთან იწვოდა ორი საზღვაო სატრანსპორტო გემი. ხანძრები გაჩნდა აგრეთვე ავანპორტის ნავმისაბმელებთან მდგომ სატრანსპორტო გემებზე. გარდა ამისა, ავანპორტში პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია სატრანსპორტო გემი სამხედრო ნავსადგურის არხში შესვლისას. უდიდესი ძალის აფეთქება მოხდა აგრეთვე თავისუფალი ნავსადგურის ნავმისაბმელებთან მყოფ სატრანსპორტო გემებში. დიდი ხანძრები აღნიშნულია რკინიგზის სადგურის, ნავთის საწყობების ტერიტორიაზე და საზღვაო ფლოტის ბაზის რაიონში.

ხანძრების ალს ჩვენი მფრინავები ხედავდნენ სამიზნიდან დაბრუნებისას 200-ზე მეტი კილომეტრი მანძილიდან.

16 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

16 ოქტომბრის განმავლობაში ქალაქ რიგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები ვარკალკროგსი, ვიკული, პინტი, პლუდი, ანასმუიჟა, ლაპსასი, ადიენი, მაზცენა, სუდმალკალნსი, დალბე, გაისარაგი, ტიში, ვოლგუნტე და რკინიგზის სადგურები ლიელუპე, ავოტი, დალბე.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის სადგური ბორშა, დიდი დასახლებული პუნქტები მოისჩიუ, ფელშო-შიშო, ფელშო-სელიშტე, სეჩელუ, რომული, ტელჩი, სუპლაი, ტეკეში, ოლალაპოში, ლეპუშულ-უნგურაში, ვიმა, როგნა, შიმიშნა, გირბოუ, კეკიში, ბრეზი, სტინა, ჩეერლე, ბუჩუმი, ბოგდანა და რკინიგზის სადგურები მოისჩიუ, ფელშო-ვიშო, ოლშო-ვიშო, კეცკეუ, გილგეუ, ილიანდა-მარე, გერგეუ, აგირეში, სტინა.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, გააჩაღეს ბრძოლები იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადისათვის. ბელგრადის გარეუბნებში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბულგარეთის ჯარებმა, რომლებიც გერმანელთა წინააღმდეგ მოქმედებენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან და ჩვენს ჯარებთან ერთად, ბრძოლებით დაიკავეს იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქი და რკინიგზის კვანძი ნიში, ქალაქი ლესკოვაცი და დიდი დასახლებული პუნქტები ლეშანე, ვრანიე, გრდოლიცა.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

15 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 93 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 57 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა ინსტერბურგის რკინიგზის კვანძზე

15 ოქტომბერს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა ინსტერბურგის რკინიგზის კვანძზე (აღმოსავლეთი პრუსია). დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე ხანძრები გაჩნდა. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები მოწინააღმდეგის სამხედრო ტვირთიანად. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია გერმანელთა სამი სამხედრო ეშელონი, რომლებიც ლიანდაგზე იდგნენ. რამდენიმე ძლიერი აფეთქება აღნიშნულია აგრეთვე აეროდრომის რაიონში.

* * *

ქალაქ რიგის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. გერმანელთაგან გაწმენდილია რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი, რომლებიც ბაბიტეს-ეზერსის ტბის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობენ. საბჭოთა ნაწილებმა მოწინააღმდეგეს წაართვეს ორი ტანკი, 10 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი, 220 ავტომანქანა, საომარი მასალის სამი საწყობი, საავიაციო მოტორების საწყობი და რკინიგზის ეშელონი სამხედრო ტვირთიანად. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 15 ვარგისი კატერი. რიგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა, რომლებმაც გადალახეს მოწინააღმდეგის საინჟინრო და დანაღმული დაბრკოლებანი და მოიგერიეს მისი კონტრიერიშები, წინ წაიწიეს 20-მდე კილომეტრით. გერმანელთა ყოველი ცდა გამაგრებულიყვნენ შუალედს ზღუდეებზე მარცხით დამთავრდა. ჩვენი ქვეგანაყოფები გერმანელთა ზურგში იჭრებიან და გაბედულად მიაქვთ მათზე იერიშები. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია მტრის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა ავიაცია ბომბავდა გერმანელთა საბრძოლო წყებებს. ნ ავიანაწილის მფრინავები თავს დაესხნენ რკინიგზის სადგურ სლოკას. დაბომბვის შედეგად ამ სადგურში დამსხვრეულია მოწინააღმდეგის ეშელონი ტვირთიანად და დამწვარია 16 ავტომანქანა.

• • •

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ქალაქ ბისტრიცის ჩრდილოეთით გაფთრებული ბრძოლები მოხდა სეჩელუს ხეობისათვის. გერმანელთა სამთო-მსროლელი ნაწილები ძლიერ ხელსაყრელ პოზიციებზე გამაგრდნენ. მთიანი ადგილმდებარეობა მეტისმეტად აძნელებდა საბჭოთა ნაწილების შეტევით მოქმედებას. ზოგიერთი მთა ამ რაიონში ორი ათასამდე მეტრი სიმაღლისაა. შემოვლითი მოძრაობით ჩვენი მეავტომატეები ტყეებზე გავიდნენ მტრის ზურგში და უეცრად დაატეხეს მას ცეცხლი. საბჭოთა მებრძოლებმა უღელტეხილი გადალახეს და გერმანელ-უნგრელთა ჯარები განდევნეს დასახლებულ პუნქტ სეჩელუდან. ამნაირად, სალვა-სეჩელუს დიდმნიშვნელოვანი გზატკეცილი გაწმენდილ იქნა მოწინააღმდეგისაგან. ჩვენმა ჯარებმა წარმატება განავითარეს და დაიკავეს ქალაქი ბორშა. დაკავებულია აგრეთვე 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის რკინიგზის სადგური ოლშოვიშო, რომელიც ჩეხოსლოვაკიისა და ჩრდილოეთ ტრანსილვანიის საზღვრიდან 20 კილომეტრზე მდებარეობს.

• • •

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ჩაძირა მოწინააღმდეგის სამი ტრანსპორტი და სამი სწრაფმავალი სადესანტო კარჟაპი.

• • •

ბალტიისპირეთში ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ჯარისკაცები იტყობინებიან, რომ გერმანელთა ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდით. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 31-ე ქვეითი დივიზიის მე-17 პოლკის მე-12 ასეულის ჯარისკაცმა ფრანც ლენსკიმ განაცხადა: „ზაფხულში 31-ე დივიზია ხელახლად დააკომპლექტეს. ჩვენ გერმანიიდან ბალტიისპირეთში გადმოგვიყვანეს. რაღაც ერთი თვის შემდეგ ჩვენი დივიზია უკვე აღარ არსებობდა როგორც საბრძოლო ერთეული. განსაკუთრებით მძიმე დარტყმები დაგვატყდა თავს მდინარე გაუიასთან. ჩვენ საკმაო სიჩქარით ვიხევდით უკან, მაგრამ რუსებმა მაინც გაგვასწრეს. ხიდები აფეთქებული აღმოჩნდა და ჩვენ ნახევარგარემოცვაში მოვხვდით. დაიწყო გიჟური პანიკა. გარშემორტყმის შიშით საარტილერიო პოლკმა და დივიზიის სხვა დამარცხებულმა ნაწილებმა მთელი მატერიალური ნაწილი და საომარი მასალა მიატოვეს. სარდლობამ სცადა მდინარის სამხრეთ ნაპირზე მოეწყო თავდაცვა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ჩვენ თავის დასაცავადაც კი არაფერი გაგვაჩნდა".

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 47-ე მშენებელი ბატალიონის ჯარისკაცმა ჰენრიხ კრაიცერმა განაცხადა: „ჩვენი ბატალიონი ლაზარეთს აშენებდა. მოულოდნელად დაიწყო რუსების შემოტევა. საღამოს ბარაკებთან უწყვეტ ქარავნად მოდიოდნენ დაჭრილი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით სავსე მანქანები. დაჭრილთა ნაკადი დილამდე არ შეწყვეტილა. დილას მოვიდა ბრძანება დაუყოვნებლივი ევაკუაციის შესახებ. ბატალიონმა ბედის ამარად მიატოვა ასობით დაჭრილი და გაიქცა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ მაინც ტყვეობაში აღმოვჩნდით".

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 227-ე ქვეითი დივიზიის 328-ე პოლკის ფელდფებელმა ჰანს კეფერმა გვიამბო: „რუსების შემოტევამ 227-ე ქვეითი დივიზია მეტისმეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენ მხოლოდ ერთი გზა დაგვრჩენოდა უკანდასახევად, დანარჩენი გზები კი მოჭრილი იყო. 328-ე, 366-ე და 412 პოლკების ყველა ქვეგანაყოფმა იმ ერთადერთ გზატკეცილს მიაშურა, რომელზეც მთელ იმედს ვამყარებდით. მაგრამ რუსთა ტანკებმა მოახერხეს ჩვენს ზურგში შემოჭრილიყვნენ. დივიზიამ საშინელი განადგურება განიცადა".

საბჭოთა უკრაინის დიდი ზეიმი

ბრწყინვალე დღესასწაულია დღეს საბჭოთა უკრაინაში: მისი მიწა-წყალი მთლიანად განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. წითელმა არმიამ უკრაინაში შეასრულა თავისი წმიდა ამოცანა: არც ერთი შეიარაღებული გერმანელი აღარ არის უკრაინელი ხალხის ტერიტორიაზე. ძვირად დაუჯდა მტერს თავისი ყაჩაღური შემოსევა. მტრის მილიონობით ჯარისკაცმა და ოფიცერმა ჰპოვა სამარე უკრაინაში.

უკრაინელი ხალხის დღესასწაული მთელი ჩვენი ხალხის დღესასწაულიც არის. განუყოფელია ძმური გრძნობები ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში. ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასია კიევიც—რუსთა ქალაქების დედა, ხარკოვიც, ოდესაც, დონბასის ქალაქებიც. მწვავე ტკივილით იყო გამსჭვალული ყოველი საბჭოთა ადამიანის გული, როცა უკრაინა, ენერგიული, მხიარული, ნიჭიერი ხალხის ქვეყანა, გერმანელ მტარვალთა უღელქვეშ მწუხარების, ცრემლის, ხალხის ტანჯვა-წამების მხარედ იქცა. უკრაინისათვის, როგორც თავიანთი მშობლიური ადგილებისათვის, თავდადებულად ებრძოდნენ გერმანელებს საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხთა მამაცი შვილები და პირველ ყოვლისა რუსი ადამიანები, რომლებიც ძმური მეგობრობის მრავალსაუკუნოვანი კავშირით არიან შეერთებულნი უკრაინელებთან.

ჩვენ დღეს ვბეჭდავთ უკრაინის სს რესპუბლიკის მთავრობისა და უკრაინის ბოლშევიკების პარტიის მიმართვებს ამხანაგ სტალინისადმი და უკრაინელი ხალხისადმი, ქ. კიევის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვას წითელი არმიის მებრძოლების, სერჟანტების, ოფიცრებისა და გენერლებისადმი.

ამ მიმართვებში მგზნებარე სიტყვებით გამოთქმულია უკრაინელი ხალხის მადლობა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ხალხთა დიდი ბელადის, წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორის ამხანაგ სტალინისადმი, წითელი არმიისა, რომელმაც სრული განთავისუფლება მოუპოვა უკრაინას, გამოთქმულია მადლობა გმირი წითელი არმიის მამაცი მეომრებისადმი.

მიმართვაში ამხანაგ სტალინისადმი უკრაინელი ხალხის წარმომადგენლები ამბობენ:

„საყოველთაო-სახალხო გულითად მადლობას ვუძღვნით დიდ რუს ხალხს და საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხებს, ბოლშევიკურ პარტიას და თქვენ, საბჭოთა მთავრობის მეთაურს, ხალხთა და გმირი წითელი არმიის დიდ ბელადს, მძლავრი და მხსნელი დახმარებისათვის, რაც გაუწიეთ უკრაინელ ხალხს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში და მტრის უკუსაქცევად და გასანადგურებლად ხალხის ძალების დარაზმვაში, გერმანელ ოკუპანტთა მიერ დანგრეული საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენაში".

წითელი არმიისადმი მიმართვაში უკრაინელი ხალხის წარმომადგენლები ამბობენ:

„განთავისუფლების დიად საზეიმო დღეს ჩვენ მხურვალე მადლობის სიტყვით მივმართავთ ყველა მოძმე ხალხს, რომელნიც დაეხმარნენ თავიანთ მრავალტანჯულ ძმას უკრაინას. ჩვენ მადლობას გიძღვნით თქვენ, მებრძოლებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს—ჩვენი საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილებს, ჩვენს განმათავისუფლებლებს საზიზღარი და მტაცებელი მტრისაგან. მხოლოდ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, თავისი უფროსი ძმის—დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ, ერთიან მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოში შესძლო უკრაინელმა ხალხმა დაეძლია თავისი ძველისძველი მძვინვარე მტერი, შესძლო მოეშორებინა გერმანული მონობის უღელი. საუკუნო ხსენება და დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მათმა კეთილშობილურმა სისხლმა კიდევ უფრო ძლიერ განამტკიცა ხალხთა სტალინური მეგობრობა".

შესანიშნავი სიტყვებია! ამ სიტყვებში ნაჩვენებია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დიადი წყარო, ჩვენი გამარჯვებების წყარო. ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ სავსებით გააქარწყლა გერმანელ ფაშისტ მტარვალთა ბნელი ზრახვები. ისინი ვარაუდობდნენ, დაიპყრეს რა უკრაინა, ჩამოეშორებინათ იგი საბჭოთა კავშირისათვის და უწინარეს ყოვლისა რუსი ხალხისათვის. ისინი ფიქრობდნენ, რომ შესძლებდნენ დაენაწილებინათ მთელი საბჭოთა კავშირი, ერთი ხალხი მეორისათვის მიესიათ, რათა ცალ-ცალკე ყველას მორეოდნენ და გასწორებოდნენ. მაგრამ გერმანელი ავაზაკები შეხვდნენ არა დაქსაქსულ ხალხებს და არა ცალკე სახელმწიფოთა დროებით კოალიციას, არამედ ერთიან მძლავრ სახელმწიფოს, ხალხთა ერთიან საბჭოთა ოჯახს. უკრაინელი ხალხი თავდადებულად იბრძოდა მთელი საბჭოთა სამშობლოსათვის, და მთელი ჩვენი სამშობლო ერთსულოვნად იბრძოდა უკრაინისათვის.

გერმანელ დამპყრობლებს სურდათ ავაზაკური გერმანული იმპერიალიზმის კოლონიად გადაექციათ უკრაინა, სურდათ მიეღწიათ იმისათვის, რაც მათ ვერ მოახერხეს 1918 წელს. 1942 წელს ჰიტლერი გათავხედებული [illegible] ტორის გონებაჩლუნგი კვეხნით ამბობდა: „უნდა შევაკეთოთ ათას[illegible] ნა, ხელახლა ავაგოთ ქვეყნის [illegible] და გავადიდოთ მათ [illegible] კუთარ მრეწველობა [illegible] ლეთში".

მაგრამ ვერაფერი ვერ შეაკეთეს, ვერაფერი ვერ ააგეს გერმანელმა ფაშისტმა ველურებმა. ისინი მხოლოდ ანგრევდნენ, ისინი მხოლოდ ძარცვავდნენ. მათ წინააღმდეგ ამხედრდა ყველაფერი უკრაინაში—ადამიანიც, მიწაც. უკრაინის გმირმა სახალხო შურისმგებლებმა 300 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. მიწა არ იძლეოდა ქვანახშირსა და მადანს. უკრაინის უნაყოფიერესი შავი ნიადაგი ნაყოფს არ იძლეოდა გერმანელებისათვის. ჩაქვდა ქარხნები, ჩაქრა ბრძმედები, დაცარიელდა მინდვრები. უკრაინელმა მუშებმა აღმოსავლეთში გაზიდეს მოწყობილობა. უკრაინელი ინტელიგენცია წავიდა.

წითელმა არმიამ გერმანელთა განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან ვოლგაზე დაიწყო. დნეპრზე განაგრძობდა ამ განდევნას სულ უფრო და უფრო ჩქარი ტემპით. დნეპრის გადალახვა—ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელია უკრაინის განთავისუფლების გმირულ ისტორიაში. უკრაინის ქალაქების ველური ნგრევით, უკრაინის სოფლების მოსპობით, ჰიტლერელები სულმდაბლად და საზიზღრად იძიებდნენ შურს თავიანთი სამხედრო უძლურებისათვის. ისინი წითელ არმიას გაურბოდნენ და თავიანთ იარაღს ხმარობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა წინააღმდეგ.

გარბოდნენ რა წითელი არმიის დარტყმების გამო, გერმანელი არამზადები იმ აზრით ინუგეშებდნენ თავს, რომ მათ დიდი ხნით გადააქციეს უკრაინა გავერანებულ მინდვრად, გადაბუგულ, გაუკაცრიელებულ ქალაქ-სოფლებიან უდაბნოდ. მაგრამ მტერი ამაშიც სასტიკად მოსტყუვდა.

ღრმა არის ჭრილობები, რომლებიც უკრაინის სახალხო მეურნეობას მიაყენეს. შეიძლება ერთ ხალხს მოკლე ვადაში ვერც მოეშუშებინა ეს ჭრილობები. მაგრამ უკრაინელი ხალხი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა დახმარებით შეუდგა თავისი მეურნეობის აღდგენას, და ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ საბჭოთა სახელმწიფოში კვლავ სასწაულები მოახდინა.

შრომითი ჩირაღდნები ანთია დონბასში, გიზგიზებს ალი ბრძმედებ ქვეშ, განათებულია ელექტროსადგურთა ფანჯრები, კვამლი ამოდის ასობით ქარხნის მილებიდან, გაჩაღებულია მუშაობა მიწის ქვეშ და მიწაზე. ნანგრევებიდან აღსდგნენ კრამატორსკის, მაკეევკის, მარიუპოლის გიგანტები. საბჭოთა ქვეყნის მინდვრებში ტრაქტორები მიდის ხარკოვიდან, მიდის ამწევები შახტებისათვის კრამატორსკის ქარხნიდან. მიდის ქვანახშირი რკინიგზებით ჩრდილოეთისკენაც და აღმოსავლეთისაკენაც. აღორძინებული დონბასი ეხმაურება გაახალგაზრდავებულ ურალს. მძლავრ ნაკადად მოჩქრიალებს უკრაინული ოქრო ხორბალი, შაქრის გორებად იქცევა განთქმული უკრაინული ჭარხალი. სწარმოებს დროგობიჩის ნავთის სარეწთა აღდგენა, და „იცინის ბორისლავი"—კარგად, მხიარულად იცინის, როგორც ივანე ფრანკოს დროს არ ვაუცინია.

საბჭოთა ქვეყანამ მზრუნველობით შეინახა უკრაინის ოქროს ფონდი—მისი ნიჭიერი ინტელიგენცია, მეცნიერები და მწერლები, ინჟინრები და ექიმები. უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ კიევში, თავის მშობლიურ სახლში იდღესასწაულა თავისი არსებობის 25 წლისთავი. თავიანთ მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში სახელმოხვეჭილი თეატრალური კოლექტივები. დაიწყო სასწავლო წელი და გაიხსნა სკოლები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები. ცოცხლობს უკრაინა! იგი მთლიანად მოვიდა თავის დღესასწაულზე. კიევი, ხარკოვი და ლვოვი, საბჭოთა უკრაინის ქალაქთა ერთიან და განუყრელ ოჯახში მყოფნი, უთვლიან სალამს მთელ საბჭოთა ხალხს.

ამ მისალმებებში მადლობა განთავისუფლებისათვის შეერთებულია ფიცთან—განაგრძონ ბრძოლა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბოლომდე, ფაშიზმის სრულ განადგურებამდე. უკრაინის მრეწველობა, რომელიც აღორძინების გზაზეა შემდგარი, და მისი სოფლის მეურნეობა მონაწილეობენ სამშობლოსათვის ომში, ამარაგებენ ფრონტს ყოველივე იმით, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის.

საბჭოთა უკრაინა თავის სრულ განთავისუფლებას დღესასწაულობს. გავა ცოტა დრო, და სრული განთავისუფლების ეს ბრწყინვალე დღესასწაული ბედნიერებას მოჰფენს მთელ ჩვენს ქვეყანას. ამ დღის მოსაახლოებლად ეწევა გმირულ ბრძოლებს წითელი არმია. დავეხმაროთ მას მთელი ჩვენი ძალებით!

„პრავდის" 15 ოქტომბრის მოწინავე

რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში

რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა ზამთრისათვის მზადებაში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების გაძლიერების საკითხი. სახკომსაბჭომ აღნიშნა მშრომელთა დეპუტატების სვერდლოვსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ძვირფასი ინიციატივა ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების მოწყობის საქმეში. ქალაქის აღმასკომმა მოაწყო კვირაობა — მშრომელთა მასობრივი გამოსვლა ფრონტელთა ოჯახებისათვის სასათბობო საწყობებში შეშის მისაზიდავად, ბინების შესაკეთებლად და საერთო საცხოვრებლების წესრიგზე მოსაყვანად. კომკავშირული ორგანიზაციები და პიონერების თემურელთა რაზმები მრავალშვილიან ოჯახებს ეხმარებოდნენ შეშის დახერხვასა და სხვა საოჯახო საქმეების შესრულებაში. სვერდლოვსკის საწარმოებმა და სამრეწველო არტელებმა საკვირაობოდ დამატებით გამოუშვეს ფართო მოხმარების ბევრი საქონელი. კვირაობის მომზადებასა და ჩატარებაში ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები.

რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ გადაწყვიტა რჩევა მისცეს ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასკომებს და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქთა აღმასკომებს სვერდლოვსკის საქალაქო აღმასკომის მაგალითისამებრ მოაწყონ ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების მასობრივი კვირაობანი. (საკდესი).

მდგომარეობა უნგრეთში

ჩერნოვიცი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ცნობები, რომლებიც დღეს ბუდაპეშტის რადიომ გადმოსცა, მოწმობენ, რომ უნგრეთში სერიოზული პოლიტიკური ამბები ხდება.

უნგრეთის სახელმწიფოს რეგენტმა (მმართველმა) ჰორტიმ ნაშუადღევს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განაცხადა, რომ უნგრეთს განზრახვა აქვს მოლაპარაკება გამართოს დროებითი ზავის დადებაზე.

ცოტა უფრო გვიან რადიომ გადასცა უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომ სადღაც გაჰქრა რეგენტ ჰორტის ვაჟი. სამინისტრომ წინადადება მისცა უნგრეთის ყველა ადგილობრივ ხელისუფალთ და პოლიციას, უნგრეთის საზღვარზე არ გადაუშვან არც ერთი ავტომანქანა გულმოდგინედ გაუსინჯავად, ამასთან ანგარიში არ გაუწიონ იმას, თუ ვის ეკუთვნის ავტომანქანა.

შემდეგ რადიოთი გამოქვეყნდა უნგრეთის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ვერეშის ბრძანება. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ რეგენტ ჰორტის მიმართვა ისე არ უნდა იქნას გაგებული, როგორც საომარი მოქმედების დამთავრება. „დღემდე ლაპარაკია მხოლოდ მოლაპარაკებაზე დროებითი ზავის დასადებად, — ნათქვამია ბრძანებაში. — ამ მოლაპარაკების შედეგი ჯერ არ გამორკვეულა, და ამიტომ უნგრეთის ყველა ნაწილი და შენაერთი განუწყვეტლივ განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას ყოველი თავდასხმისათვის".

დაახლოებით შუაღამისას ბუდაპეშტიდან რადიომ გადასცა უნგრელი ფაშისტების ლიდერ ფერენც სალაშის სიტყვა, რომელიც მოწმობს, რომ უნგრეთში შინაური ბრძოლა სწარმოებს და რომ რადიოსადგური ამჟამად ჰიტლერელთა ხელშია. სალაში ჰორტის ბრალსა სდებდა „უნგრეთის მოკავშირისათვის ღალატში" და ამტკიცებდა, რომ უნგრეთი მომავალშიც განაგრძობს ომს ჰიტლერული გერმანიის მხარეზე. სალაში თავის მსმენელთაგან მოითხოვდა, ჩემს ბრძანებებს დაემორჩილეთო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იუგოსლავიაში. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები ქალაქ კალიშინში.
ფოტო ვ. ეშურინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

აკადემიის პრეზიდენტ ვ. ლ. კომაროვის პატივსაცემად

14 ოქტომბერს მეცნიერთა მოსკოვის სახლში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ვ. ლ. კომაროვის დაბადების 75 წლისთავისა და მეცნიერული, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომით გაიხსნა აკადემიის საერთო კრება.

დარბაზში შეიკრიბნენ მეცნიერების უდიდესი მოღვაწენი, აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შესავალ სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ა. ბაიკოვი.

— მეცნიერებათა აკადემიის ახლანდელ სესიაზე, — ამბობს იგი, — ჩვენ შევიკრიბეთ ისტორიის ღირსშესანიშნავ მომენტში, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად გადამწყვეტ დარტყმებს აყენებს მტერს და ფაშისტური ბუნაგის გარშემო მომაკვდინებელი რკალი ვიწროვდება. ამ გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, იმ ტიტანური როლით ამაყნი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ფაშიზმის განადგურებაში ასრულებს, მთელ ჩვენს ფიქრებს მივაპყრობთ იმას, ვინც თავიდანვე წინასწარმეტყველებდა გერმანიის გარდუვალ დამარცხებას, მივაპყრობთ იმას, ვინც სათავეში ჩაუდგა ჩვენი ხალხის წმიდათა-წმიდა ბრძოლას, — სტალინს — ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს!

ორატორი დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა კავშირის მარშალს დიდ სტალინს, რასაც ყველა დამსწრენი მქუხარე ოვაციით ეგებებიან.

მეცნიერების ყველა მოღვაწეთა სახელით, სამშობლოს სახელით აკადემიკოსი ბაიკოვი მხურვალედ მიულოცავს ვ. ლ. კომაროვს მის იუბილეს და უსურვებს მრავალი წლის შემოქმედებითს მუშაობას სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

აკადემიკოსი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მდივანი ნ. გ. ბრუევიჩი აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ვ. ლ. კომაროვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისალმებას იუბილარისადმი და სახკომსაბჭოს დადგენილებას მისი დაბადების 75 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

მოსკოვის მშრომელთა სახელით ვ. ლ. კომაროვს მხურვალედ მიულოცა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პ. პრონინმა. მან იუბილიარს გადასცა მედალი „მოსკოვის დაცვისათვის".

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის „ვლადიმერ ლეონტის-ძე კომაროვი და მეცნიერებათა აკადემია" ეძლევა აკადემიკოს ლ. ა. ორბელს. იგი აღწერს კომაროვის ცხოვრების სახელოვან გზას, დაწყებული გიმნაზიის წლებით დღევანდლამდე. კომაროვის ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია ხალხისადმი მეცნიერების თავდადებული სამსახურისა, რასაც ამხანაგი სტალინი გვასწავლის.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან უდიდესი მეცნიერები, რომლებიც კითხულობენ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისალმებებს იუბილარისადმი. აკადემიკოსი პ. ლ. კაპიცა კითხულობს ლონდონის სამეფო საზოგადოების, ვაშინგტონის ნაციონალური აკადემიის, საფრანგეთის პარიზის მეცნიერებათა აკადემიისა და ინდოეთის ნაციონალური აკადემიის მისალმებებს.

სიტყვა ეძლევა იუბილარს. ვ. ლ. კომაროვი გულთბილ მადლობას უძღვნის ყველას, ვინც მას მიესალმა იუბილესთან დაკავშირებით. მეცნიერი იხსენებს თავისი ცხოვრების გზის ძირითად ეტაპებს, იმ სიძნელეებს, რომელთა გადალახვაც უხდებოდა ახალგაზრდობის წლებში, როცა მისი მეცნიერული მოღვაწეობა იწყებოდა. ლაპარაკობს რა თავის მუშაობაზე აკადემიაში, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუდამ გრძნობდა და გრძნობს ამხანაგ სტალინის უდიდეს ზრუნვას მეცნიერების განვითარებისათვის, მეცნიერების მუშაკთათვის. დასასრულ პრეზიდენტი მიმართავს ახალგაზრდა მეცნიერებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერს და მოუწოდებს კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშაონ ხალხისათვის, სამშობლოსათვის, დაუღალავად იარონ წინ თავიანთ გაბედულ მეცნიერულ ძიებაში.

მთელი დარბაზის მქუხარე ოვაციით კრება იღებს ამხანაგ სტალინისადმი მისალმებას, რომელსაც კითხულობს აკადემიკოსი ს. ი. ვავილოვი. მიღებულ იქნა აგრეთვე მიმართვები ამხ. მოლოტოვისა და გმირი წითელი არმიისადმი.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება რამდენიმე დღეს გასტანს. (საკდესი).

ბრიანსკის ოლქის კოლმეურნეობები ვალდებულებას კისრულობენ 5 ნოემბრისათვის წითელი არმიის ფონდში გეგმის გადამეტებით შეიტანონ ერთი მილიონი ფუთი პური

ბრიანსკის ოლქის კოლმეურნეთა ვალდებულებანი

ჩვენ უდიდესი აღფრთოვანებით შევეგებეთ საბჭოთა უკრაინის სახელოვან მშრომელთა მიმართვას — პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისა და წითელი არმიის ფონდში გეგმის გადამეტებით პურის შეტანისათვის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ამ მოწოდებაში უკრაინის რესპუბლიკის კოლმეურნეებმა გამოთქვეს ჩვენი ფიქრი და გრძნობა, ჩვენი სურვილი და მისწრაფება. ჩვენ ყველანი ერთი ფიქრით ვცოცხლობთ, რაც შეიძლება მეტი და უკეთესი დახმარება გავუწიოთ ჩვენს წითელ არმიას, რათა მან უფრო სწრაფად და საბოლოოდ გაანადგუროს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში.

ორი წლის განმავლობაში გმინავდა ჩვენი ბრიანსკის ოლქი გერმანელთა უღელქვეშ. ჰიტლერელმა დამრბევლებმა გაგვინადგურეს კოლმეურნეობები, მოგვისპეს მტს-ები, გაირეკეს ჩვენი მუშა და პროდუქტიული საქონელი. დაგვიწვეს საზოგადო შენობები, აყვავებული ქალაქები და სოფლები ნანგრევებად და ფერფლად გადაგვიქციეს. ფაშისტმა არამზადებმა აწამეს, დახვრიტეს და ჩამოახრჩეს ასიათასობით სრულიად უდანაშაულო მამაკაცი, ქალი და ბავშვი და მრავალ ათეულ ათასობით საბჭოთა ადამიანი გაირეკეს გერმანიის კატორღაში. ჩვენ ვერ გაგვტეხა ვერც ძარცვა-გლეჯამ, ვერც წამებამ, ვერც სახრჩობელამ, ვერც საშინელმა აბუჩად აგდებამ.

გერმანელ დამპყრობთაგან ჩვენი ოლქის განთავისუფლების პირველ დღეებში ჩვენ შევფიცეთ სამშობლოს, დიდ სტალინს რაც შეიძლება სწრაფად მოვიშუშოთ ღრმა ჭრილობები, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას მიაყენა მტერმა.

უკვე საგაზაფხულო თესვის დაწყებისას აღდგენილი იყო 2.892 კოლმეურნეობა, 24 საბჭოთა მეურნეობა და 47 მტს-ი.

ადრიან გაზაფხულზე, როცა ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნ წერილს ხელს ვაწერდით, ჩვენ ფიცი დავდეთ სწრაფად და მაღალი აგროტექნიკური დონით ჩაგვეტარებინა საგაზაფხულო თესვა. ჩვენი სიტყვა შევასრულეთ. საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა ჩვენმა ოლქმა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შეასრულა. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ მიგვეღო საშუალოდ 10 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე. ეს ვალდებულება შევასრულეთ. საშუალოდ ოლქში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 10,5 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს ჰექტარზე.

ჩვენ, წითელი არმიის გმირული გამარჯვებებით აღფრთოვანებულებმა, სწრაფად და ორგანიზებულად ჩავატარეთ მოსავლის აღება. მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე მოვაწყეთ გალეწვა და პირდაპირ კალოებიდან ვაბარებდით დამამზადებელ პუნქტებს საუკეთესო მარცვალს. ჩვენ ვცდილობდით სწრაფად ჩაგვებარებინა პური ჩვენი სამშობლოსათვის, გმირი წითელი არმიისათვის.

1 ოქტომბრისათვის ჩვენმა ოლქმა მთლიანად შეასრულა პურის დამზადების გეგმა. 10 ოქტომბრისათვის პურის ჩაბარების გეგმა შესრულებული იყო 104 პროცენტით. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ სამშობლოს ბევრი პური ესაჭიროება, რომ დღეს პური იარაღია მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ, კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ვებმებით სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულებას ვკისრულობთ:

1. 5 ნოემბრამდე შევიტანოთ წითელი არმიის ფონდში გეგმის გადამეტებით 1 მილიონი ფუთი პური. კლიმოვსკის რაიონის კოლმეურნეობები ჩააბარებენ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 140 ათას ფუთს, სტაროდუბის რაიონის კოლმეურნეობები—130 ათას ფუთს, პოგარის რაიონის კოლმეურნეობები — 120 ათას ფუთს, პოჩეპის რაიონის კოლმეურნეობები — 120 ათას ფუთს და სხვ.

2. ამა წლის 1 ნოემბრამდე სავსებით დავამთავროთ პურის ლეწვა, კარტოფილის აღება და შევასრულოთ სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა.

დიდი სტალინის წინამძღოლობით წითელი არმია განაგრძობს ძლევამოსილ შეტევას. ახლოა ჟამი მტერზე შურისძიებისა მთელი მისი საშინელი დანაშაულისათვის, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების დანგრევისათვის, ჩვენი ადამიანების ცრემლისა და ტანჯვისათვის.

დაე ჩვენმა მცირე წვლილმა მოაახლოოს გამარჯვების სანატრელი ჟამი.

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას — ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს ჩვენს მამას, მშობლიურ ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

(ვალდებულებანი მიღებულია კრებებზე ოლქის კოლმეურნეობებში).

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 16 ოქტომბერი. (საკდესი) მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 16 ოქტომბრის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან უტევენ, 15 ოქტომბერს შეერთდნენ სავოიაარგატ-პლაატის დასავლეთ ნაპირთან. ამის შემდეგ მოკავშირეთა გაერთიანებულმა ძალებმა შეტევა დაიწყეს დასავლეთისაკენ იმ ნაწილებთან შესაერთებლად, რომლებიც ხიდწინა სიმაგრეს ინარჩუნებენ ვატერფლიტის რაიონში.

ანტვერპენის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა ავიაციის დახმარებით დაიკავეს სოფელი ვუნსდრეხტი.

ჰოლანდიაში მეჲრის რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე ადგილას წინ წაიწიეს ფირლინგსბეეკისაკენ.

აახენის გარეუბნებში გრძელდება ბრძოლა ყოველი სახლისათვის. ქალაქის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა, მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, წინ წაიწიეს.

ვოგეზის მთების ძირში მოკავშირეთა ჯარებმა შეტევა გააძლიერეს აღმოსავლეთის მიმართულებით, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენადმე წაიწიეს ფართო ფრონტის გასწვრივ და რამდენიმე ქალაქი გაათავისუფლეს.

ბაკარას კომუნიკაციების კვანძის ჩრდილო-დასავლეთით დაკავებულ იქნა ქალაქები გლოხვილი და ფონტენუა. უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა გასწმინდეს ფრემიფონტენი, სადაც ამას წინათ გაამფთრებული ბრძოლები სწარმოებდა.

1.200-ზე მეტმა მძიმე ბომბდამშენმა ავიაგამანადგურებელთა დიდი შენაერთების თანხლებით დაბომბა სამხედრო ობიექტები კელნში. მძიმე ბომბდამშენთა სხვა შენაერთი თავს დაესხა ნავთსაწმენდ ქარხნებს როზენჰოლცსა და მონჰაიმში დიუსელდორფის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. წუხელ მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ ვილჰელმსჰაფენის სამხედრო ბაზას. დაბომბილ იქნა აგრეთვე ობიექტები ჰამბურგში.

საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე

ლონდონი, 16 ოქტომბერი (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ რამდენიმე დღის შეფერხების შემდეგ, რაც დაკავშირებული იყო საბერძნეთის სანაპიროს მახლობლად წყლების განნაღმვასთან, 15 ოქტომბერს საღამოს ინგლისისა და საბერძნეთის ფლოტების მთელი რიგი ხომალდები ღუზაზე დადგნენ პირეის ბუხტში.

ყველა ამ გემით მოვიდა ეშელონი ჯარებისა, რომლებიც 16 ოქტომბერს დილით უნდა გადამსხდარიყვნენ ნაპირზე.

იტალიაში მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა მძიმე ბრძოლის შემდეგ, რამაც მთელ დღეს გასტანა, დაიკავეს ქალაქი ლივერნიანო.

ფრონტის უბანზე ადრიატიკის სანაპიროსთან მე-8 არმიის ნაწილებმა დაიკავეს გამბეტოლა.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ 1.000-ზე მეტი თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

ირანული გაზეთების გამოხმაურება ირანის მთავრობის გადაწყვეტილებაზე არ გასცეს ნავთის კონცესიები ომის დამთავრებამდე

თეირანი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). (მიღება დაგვიანებულია). თეირანის გაზეთების მიერ გამოთქმული აზრებისა და სხვა ცნობების მიხედვით, როდესაც ირანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება არ გასცეს ნავთის კონცესიები ახლანდელი ომის დამთავრებამდე, იგი ემყარებოდა არა ირანის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც საერთოდ მომხრეა კონცესიების გაცემისა ირანისათვის ხელსაყრელ პირობებში, არამედ მეჯლისის იმ დეპუტატებთან შეთანხმებას, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ირანის საზოგადოებრივ აზრს და არაერთგზის მიუღიათ მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი. იმ გაზეთების უმეტესობა, რომლებიც ნავთის კონცესიების საკითხს იხილავენ, მკვეთრად აკრიტიკებს ირანის მთავრობის მიერ დაკავებულ პოზიციას და მოითხოვს, რომ მთავრობა დასთანხმდეს სსრ კავშირის წინადადებას. გაზეთი „ფერმანი" სწერს: „სსრ კავშირის წინადადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ირანის ეკონომიკის განვითარებისათვის. მაშინ როცა სამხრეთ ირანის ნავთმა დიდი როლი შეასრულა მოკავშირეთა ბრძოლაში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ჩრდილოეთ ირანის ნავთი საერთო საქმისათვის გამოუყენებელი რჩება. გაზეთი სთვლის, რომ დღემდე რეაქციონერები უშლიან ხელს ჩრდილოეთ ირანში ნავთის დამუშავების ორგანიზაციას. გარდა ამისა, არსებობენ სიძნელენი ამ საქმის ორგანიზაციისა ნაკლებდასახლებულ ადგილებში. ახლა უნდა ვისარგებლოთ სსრ კავშირის წინადადებით, მისი მაღალი ტექნიკით ამ ბუნებრივ დაბრკოლებათა გადასალახავად. საბჭოთა წინადადების მიღება ხელს შეუწყობს უმუშევრობასთან ბრძოლას, ირანელი მაღალკვალიფიციური მუშების, ინჟინრების მომზადებას, აგრეთვე იმ ნაკლებდასახლებულ რაიონების დასახლებასა და განვითარებას, სადაც ჩრდილოეთში ნავთის საბადოებია. შესაძლოა, რომ ნავთის მარაგის გამოკვლევისას აღმოჩნდეს აგრეთვე სხვა სასარგებლო წიაღისეულიც: რკინა, სპილენძი, ქვანახშირი, რაც აგრეთვე სასარგებლო იქნება ირანისათვის. კონცესიით მიღებული შემოსავალი შეიძლება გამოყენებულ იქნას რეფორმების განსახორციელებლად, რომლებიც ირანს ესაჭიროება. „როდესაც სსრ კავშირს ეს წინადადება შემოაქვს, — სწერს გაზეთი „ფერმანი", — იგი ემყარება თავის მეგობრულ გრძნობებს ირანისადმი, აგრეთვე სურვილს იხილოს ირანი დამოუკიდებელ და განვითარებულ ქვეყნად. საბჭოთა წინადადების განხორციელება შეეფერება ორივე ქვეყნის ინტერესებს, იგი განამტკიცებს მათს ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობას".

გაზეთი „კეიხანი" მეჯლისის დეპუტატებს ბრალს სდებს იმაში, რომ ისინი ატარებენ ცალმხრივ პოლიტიკას, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კერძოდ აზერბაიჯანელ დეპუტატთა ზოგიერთი მანდატის დამტკიცებაზე უარის თქმით და სხვა მანდატების დამტკიცების შეუწყნარებელი გაჭიანურებით. ნავთის კონცესიის შესახებ საბჭოთა წინადადებასთან დაკავშირებით გაზეთი სწერს: „მეჯლისის დეპუტატებმა უნდა უარჰყონ თავიანთი პირადი ინტერესები, რომლებსაც ისინი სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებენ".

გაზეთი „ნეჯათე ირანი" მკვეთრად აკრიტიკებს მთავრობის გადაწყვეტილებას არ გასცეს ნავთის კონცესია ომის დამთავრებამდე და ამ გადაწყვეტილებას ირანისათვის საზარალოდ სთვლის, ხოლო მთავრობის საბუთებს — უსაფუძვლოდ. გაზეთი „ირანე მა" სწერს, რომ, როგორც კარგად ინფორმირებულ წრეებში ფიქრობენ, საედის განცხადებამ მეჯლისის დახურულ სხდომაზე 8 ოქტომბერს ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარგარეთ და ზიანი მიაყენა მეზობელ სახელმწიფოებთან ირანის ურთიერთობას.

გაზეთი „ედდამი" აგრეთვე მომხრეა ხელსაყრელ პირობებში კონცესიის გაცემისა. მარტო ერთი გაზეთი „ფარდა", რომელიც პრინციპულად წინააღმდეგი არ არის კონცესიის გაცემისა, დღეს აცხადებს, ეს ომის შემდეგ უნდა გაკეთდესო.

დემონსტრაცია ბუქარესტში კლუჟის განთავისუფლების აღსანიშნავად

ბუქარესტი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). უნივერსიტეტის მოედანზე შესდგა მიტინგი ტრანსილვანიის დედაქალაქ კლუჟის განთავისუფლების გამო. მიტინგზე, რომელიც მოაწყეს მთლიანმა მუშათა ფრონტმა, გაერთიანებულმა პროფკავშირებმა, პატრიოტთა კავშირმა და სამიწათმოქმედო ფრონტმა, სიტყვები წარმოსთქვეს გეორგ აპოსტოლმა პროფკავშირთა სახელით, ადრიან დუმიტრუმ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ანდრია ნიაგუმ კომპარტიის სახელით. ორატორები მიესალმებოდნენ წითელ არმიას, რომელმაც რუმინეთის არმიასთან ერთად ბრძოლით გაათავისუფლა ჩრდილოეთ ტრანსილვანიის დედაქალაქი, აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ ჰიტლერელ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა მივაღწიოთ რუმინეთის დემოკრატიზაციას, რაც მოითხოვს ახლანდელი მთავრობის გადაყენებას, რომელმაც დაამტკიცა თავისი უუნარობა და კეთილი სურვილის უქონლობა.

რომმელის სიკვდილი

ჟენევა, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ჰიტლერულმა სააგენტომ — გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა რომმელის სიკვდილის შესახებ. როგორც სააგენტო აღნიშნავს, რომმელი გარდაიცვალა წინათ მიღებულ ჭრილობათა შედეგად.

ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის შექმნა რუმინეთში

ბუქარესტი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ტრიბუნა პოპორულუი" იუწყება, რომ 12 ოქტომბერს კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების, აგრეთვე „პატრიოტთა კავშირის", „სამიწათმოქმედო ფრონტის" და გაერთიანებულ პროფკავშირთა ხელმძღვანელები შეიკრიბნენ, რათა განეხილათ საკითხი ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის შექმნის შესახებ, რომლის პლატფორმის პროექტი შემუშავებული იყო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. თათბირზე მოწვეული იყვნენ ნაციონალ-ცარანისტული და ნაციონალ-ლიბერალური პარტიების წარმომადგენლები, მაგრამ გამოცხადდა მხოლოდ ნაციონალ-ლიბერალური პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც კამათში მონაწილეობა არ მიიღო და თათბირი ჯერ კიდევ მის დამთავრებამდე დასტოვა.

თათბირის დამთავრების შემდეგ გამოუშვეს გაზეთ „რომანია ლიბერას" სპეციალური ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო ცნობა ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის შექმნის შესახებ.

12 ოქტომბერს საღამოს ლუკრეცი პატრაშკანუმ და ტიტელ პეტრესკუმ ნაციონალ-ცარანისტული და ნაციონალ-ლიბერალური პარტიების ხელმძღვანელებს შეატყობინეს, რომ ოთხი პარტიის ნაციონალურ-დემოკრატიული ბლოკი ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის შექმნის გამო დაშლილად უნდა ჩაითვალოსო.

ბუქარესტი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ტიმპულმა" გამოაქვეყნა ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის საბჭოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 13 ოქტომბერს ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის დელეგაცია პატრაშკანუს, გეორგიუს, ლოტარ რადჩანუს, პროფესორ ვლადესკუ-რაკოასის და ვიქტორ ბრეფტელიანუს შემადგენლობით მიიღო მეფემ.

იმის გამო, რომ ნაციონალ-ცარანისტული და ნაციონალ-ლიბერალური პარტიების ხელმძღვანელობამ პასუხი არ გასცა მანიუსა და ბრატიანუსადმი მიმართულ წინადადებაზე — ნაციონალურ-დემოკრატიულ ფრონტს შეუერთდითო, ნაციონალ-დემოკრატიული ფრონტის საბჭომ დანიშნა სხდომა, რომელზეც დასახული იქნება კონკრეტული წინადადებანი ნაციონალურ-დემოკრატიული კოალიციის ახალი მთავრობის შესაქმნელად.

როგორც გაზეთი „ტრიბუნა პოპორულუი" გადმოგვცემს, ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის საბჭოს დელეგაციამ მეფეს აცნობა, რომ ფრონტი ღიას სტოვებს კარს ნაციონალ-ცარანისტებისა და ლიბერალებისათვის, რომელთაც ფრონტის შემადგენლობაში შესვლის წინადადება მიეცათ. გაზეთის სიტყვით, დელეგაციამ განაცხადა აგრეთვე, რომ თუ ორივე ეს პარტია უარს იტყვის თანამშრომლობაზე, ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტი ჩასთვლის, რომ მას შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა რუმინეთის მმართველობისათვის.

ნაციონალ-ცარანისტებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა უარი სთქვეს ნაციონალურ-დემოკრატიულ ფრონტში მონაწილეობაზე

ბუქარესტი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „სემნალული" იუწყება, რომ 13 ოქტომბერს დილით შესდგა მანიუსა და დინუ ბრატიანუს თათბირი, რომელზეც დაზუსტებულ იქნა ნაციონალ-ცარანისტებისა და ნაციონალ-ლიბერალების პარტიების პოლიტიკური პოზიცია. თათბირის მონაწილეებმა აზრი გამოსთქვეს ნაციონალურ - დემოკრატიულ ფრონტთან რაიმე კონტაქტის წინააღმდეგ.

ომის დამნაშავეთა დაპატიმრება რუმინეთში

ბუქარესტი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ყველა გაზეთი იუწყება, რომ რუმინეთის ხელისუფლებმა მოახდინეს ომის დამნაშავეთა პირველი დაპატიმრებანი. გაზეთი „ტიმპული" სწერს, რომ ეს დაპატიმრებანი ხდება რუმინეთის მთავრობის იმ დეკრეტის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს იმ პირთა დაპატიმრებას, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება ჰიტლერული გერმანიის მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში რუმინეთის მონაწილეობისათვის. ამ დეკრეტის თანახმად დაპატიმრებულ უნდა იქნან მთავრობის ყველა წევრნი, რომელნიც ხელისუფლების სათავეში იდგნენ 1940 წლიდან 1944 წლის 23 აგვისტომდე.

დაპატიმრებულია 7 ყოფილი მინისტრი და მათი მოადგილეები, აგრეთვე ალექსიანუ, რომელსაც ეკავა უკრაინაში ოკუპირებული ტერიტორიების (ეგრეთწოდებული „ტრანსნისტრიის") „გუბერნატორის" თანამდებობა, გერმან პინტეა, რომელიც სათავეში ედგა რუმინეთის ხელისუფალთ ოდესის ოკუპაციის დროს. იუწყებიან აგრეთვე, რომ გადაყენებული და დაპატიმრებულია ნაციონალური ეკონომიკის მინისტრი გენერალი პოტოპეანუ.

ბუქარესტი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „სემნალული" იუწყება, რომ დაპატიმრებულ იქნენ პროპაგანდის ყოფილი მინისტრი კრაინიკი და გაზეთ „პორუნკა ვრემიის" ყოფილი რედაქტორი ილიე რადულესკუ.

ბუქარესტი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ტიმპული" იუწყება რომ დაპატიმრებული არიან ომის დამნაშავენი: გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი კორპუსის გენერალი ილიე სტეფლიი, ბესარაბიის ყოფილი „გუბერნატორი" დივიზიის გენერალი ვოიკულესკუ და ბუკოვინის ყოფილი „გუბერნატორი" კორნელ კალოტესკუ.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 16 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ სერბიაში მრავალი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ იუგოსლაველთა ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქი ნიში. გერმანელთა მთელი გარნიზონი სავსებით მოსპობილია. მდინარე ბრეგალნიცის ხეობაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც სდევნიან დასავლეთისაკენ უკანდახეულ გერმანელებს, პეხჩევო გაათავისუფლეს. სასტიკი ბრძოლები სწარმოებს სტრაცინისათვის.

პანიკური განწყობილება ბუდაპეშტში

ანკარა, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ანატოლიის სააგენტოს კორესპონდენტი ბუდაპეშტიდან იუწყება, რომ უნგრეთის დედაქალაქი პანიკური შეშფოთებით არის მოცული. კორესპონდენტი სწერს, რომ ფრონტიდან ბუდაპეშტში მოსული ცნობები ნერვულობასა და პანიკას აძლიერებენ.

ანტიჰიტლერული დემონსტრაციები ავსტრიაში

ლონდონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" გადმოგვცემს, რომ ავსტრიიდან მიღებული ცნობებით, ვენაში და შტირიის პროვინციაში ანტიჰიტლერული დემონსტრაციები გაიმართა. გერმანელებმა ბევრი დაპატიმრება მოახდინეს მოსახლეობაში. როგორც იუწყებიან, გერმანელები იმუქრებიან, რომ ვენას დაბომბავენ, თუ არეულობა არ შესწყდა.

არეულობა და პანიკა რურსა და რაინის ოლქში

ლონდონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). სტოკჰოლმიდან მიღებულია ცნობები, რომ რურისა და რაინის ოლქის სამრეწველო რაიონებში არეულობაა. არეულობა და პანიკა, რაც დიუსელდორფში, კელნსა და საარბრიუკენში დაიწყო, გერმანიის სხვა ქალაქებშიც გავრცელდა. ამ ქალაქების მცხოვრებნი ათასობით გარბიან გერმანიის შიდა რაიონებში იმ იმედით, რომ გადარჩნენ დაბომბვას. სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი გარბის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰიტლერელთა ხელისუფლების მიერ სასტიკად აკრძალულია. პანიკა გერმანელთა შორის ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ მოსახლეობა შეშინებულია შიმშილობით, რაც მას მოელის. სასურსათო სიძნელეები მკვეთრად გაძლიერდა იმასთან დაკავშირებით, რომ შესწყდა შეტანა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნაძარცვი პროდუქტებისა. ცნობები კარტოფილის მოუსავლიანობისა და სხვა კულტურათა ცუდი მოსავლის შესახებ აძლიერებენ პანიკურ განწყობილებას მოსახლეობაში.

რატომ არ მუშაობს ნორმალურად შაქრის ქარხანა

(აგარა, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ლ. პ. ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხანამ (დირექტორი ამხ. ხოფერია, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ურუშაძე) წელს შარშანდელზე დაახლოებით ორჯერ მეტი ნედლეული უნდა გადაამუშაოს. ამ მიზნით ქარხნის მთელ რიგ საამქროებში ჩატარდა ტექნიკური რეკონსტრუქცია. რემონტის გეგმა ვადაზე შესრულდა. 29 სექტემბერს ქარხანამ მუშაობა დაიწყო, გამოშვებულია რამდენიმე ათეული ვაგონი შაქარი.

ქარხნის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლი. ქარხანას საკმაო რაოდენობით არა ჰყავს კადრები, აკლია ბრიგადირები, ცეცხლფარეშები, მზეთავები, მტვირთავები და სხვ. მიმღები პუნქტები ზოგან სრულად არ არიან დაკომპლექტებული მუშახელით. ქარხნის ხელმძღვანელმა მუშაკებმა დროულად არ მიიღეს ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად. რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებიც ნაკლებად ეხმარებიან ამ მხრივ ქარხანას. სუსტად მუშაობს ქარხნის კადრების განყოფილება (გამგე ამხ. იორიძე).

ბევრგან მოუწყობელია შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტები. მარტო გომის პუნქტს აკლია 1.000-მდე ჭილობი, ქვიშხეთისას—500. ქვიშხეთის პუნქტს ჭარხლის საზიდად სრულიად არა აქვს ორხელები, ვაგონზე ასასვლელი კიბეები, მოწყობილი არა აქვს განათება და გათბობა, მოუგვარებელია პუნქტის მუშაკთა ღამის გათევა.

ქარელის მიმღებ პუნქტში, ნავთის მიუწოდებლობისა და ელექტროგაყვანილობის მოუწყობლობის გამო, ჭარხლის აწონა ღამით მხოლოდ ასანთის საშუალებით ხდება. მიღებისას ჭარხლის ხარისხს არ ამოწმებენ. 10 ოქტომბერს თითქმის მთელი ჭარხალი დაუხარისხებელი, გაუსუფთავებელი, მექანიკურად დაზიანებული იყო. მოუგვარებელია მოსავლის დაცვა. ამავე პუნქტში ვაგონებს არ უკეთებენ გვერდის საფრებს, რომ დატვირთული ჭარხალი გზაში არ დაიფანტოს. მეტიც — ვაგონებს არ აყოლებენ მცველებს, რაც ხელს უწყობს დანაკარგებს.

ქარხანამ დააგვიანა გადამზიდავების წახალისების მიზნით გათვალისწინებული შაქრის გაცემა. ჭიანურდება მეჭარხლეებისათვის ფართლის დარიგებაც, რაც აბრკოლებს აგრეთვე საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას.

ქარხნის მუშაკები ყურადღებას არ აქცევენ ჭარხლის ძირების ახალი წესით — აგრონომ იარმოშენკოს მეთოდით გაწმენდა-გასუფთავებას. ჭარხლის გაწმენდის ახალი წესი იმაში მდგომარეობს, რომ ჭარხალს წავაჭრათ ზემო ნაწილი (ფოჩი) არა უმეტეს ორი-სამი სანტიმეტრის დიამეტრით. ეს წესი მტკიცედ უნდა დავნერგოთ ყველა კოლმეურნეობაში, რადგან ის იძლევა დიდ ეფექტს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და შაქრის გამოსავლიანობის გადიდებისათვის. აგარის შაქრის ქარხნის მუშაკები ვალდებული არიან დაეხმარონ კოლმეურნეობებს ამ სასარგებლო ღონისძიების გატარებაში.

მიმღებ პუნქტებზე ხშირად ვხვდებით ჭარხლის ისეთ ძირებს, რომლებსაც ნაცვლად ფოჩისა წაჭრილი აქვს შაქრიანი ნაწილის ერთი მეხუთედი, ზოგჯერ კი ბევრად მეტიც. ეს შეუწყნარებელია.

დასკვნა ნათელია: თუ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სასწრაფო ზომები არ მივიღეთ, შაქრის ჭარხლის წლევანდელი უხვი მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ ვერ იქნება გადამუშავებული.

ტ. თოდრაძე

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობას, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და ცალკეულ პირთ ჩვენი ოჯახის მიმართ ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენისათვის — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ პ. ვ. ნანეიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ქ. ნანეიშვილისა

კინოებში

17 ოქტომბერს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და დამკვრელი — „გრიგალი". კომკავშირელი — „ჩრდილოეთის ვარსკვლავი". სპარტაკი — „ოქროს გასაღები". ლუქსემბურგის სახელობის — „მოსკოვის ცა". 26 კომისრის სახელობის — „ჩაპაევი".

თეატრებში

17 ოქტომბერს: სახელმწიფო ოპერა — „მეფის საცოლე". რუსთაველის სახელობის — „ირმის ხევი". მარჯანიშვილის სახელობის — „ჭირვეული ცოლის მორჯულება". გრიბოედოვის სახელობის — „ერთი ღამის შეცდომები". სომხური — „ღალატი". ახუნდოვის სახელობის — „ასლი და ქერიმი". მოზარდ მაყურებლის — ქართული — „გაიდარი", რუსული — „გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

შვილი ექიმი შალვა პაპიძე მეუღლით ვალიათი, და ნინო რუსიშვილი ოჯახით იუწყებიან ბარბარე ანდრიას-ასულ პაპიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 17/X, 4 ს. გაბაშვილის შესახვევი, 3.

ალისტრო და თამარ ოსეფაიშვილები, ელეონორა ბოლქვაძე იუწყებიან დათიკო ბრელიძის შვილის პატარა ალიკას გარდაცვალებას.

იაკობაშვილი, ღვალაძე, გულისაშვილი, ავალიანი, ბრეგვაძე, ფარჯანაძე, ჩხუბიანიშვილი, გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, მირზაშვილი, მარგველაშვილი, დარახველიძე, თავხელიძე, ჩიხლაძე, ლატიშვილი იუწყებიან პროფესორ ივანე იოსების-ძე როშჩინის გარდაცვალებას.

შვილები გრიშა, დარიკო, ვერა ოჯახებით, სიძე ალექსანდრე ცირეკიძე იუწყებიან ალექსი ივანეს-ძე ჩაფიძის გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ივანე იოსების-ძე როშჩინის გარდაცვალებას. გამოსვენება 17/X, 4 ს. ორჯონიკიძის, 29.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი და სტუდენტობა იუწყებიან პროფესორ ივანე იოსების-ძე როშჩინის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-87, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07911